სახალხო გაზეთი

№ 1092 პარასკევი, 17 იანვარი 1914 წ. № 1092

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვეკასიის გარეშე მიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კვეკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სევპრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 14, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდენი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიდება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლა-პარაკები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 50 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.
ყოველ-დღიურ საპოლიტიკო და სალიტერ.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება
(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

პირველი წიგნი: „ძართველი მწერლები", რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი", ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმძრალი შარაგანდედი", ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები", რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი", ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული", ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	6. 75	6	5. 25	4. 50	3. 75	3	2. 25	1. 50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლა ტფილისის ტფილისის გარეშე, ან ტფილისიდან **40 კ.**
ხაცვლელი ფასი ის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს ერიღოს დამატებათ სანი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მოსწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიანთ გადახადონ ნაწილობით

ბოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის" კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, ესსავალი ეზოდან. 2) ქ. ზ. წ. კ. გამგეობ. გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საუმაღლესო სურათებიან ეურნალ

წელიწ. მეათე. **„ნაკადულზე"** წელიწ. მეათე.

(1914 წ. 1-ლ იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ეურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზრდილთათვის 12 წიგნი.

36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ეურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

სახუკრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი-

„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები",

(მრავალი სურათებით), **გეორგი ანთელიძისა.**

ეურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.

ფასი ეურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარედ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

ტფილისში: „ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули", Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ეუჩა ქუთასში—ინდორეე კვიცარიანესთან, მ. ყაუხიშვილთან და თ. თოგანოშვილთან, სამტრედიაში—ვლ. ნაცვალიანესთან, ფოთში—თეოფილ ე კანდელაკთან, ბათომში—ეს. სოფლო ნაკაშიძესთან, ტფილისში—ნ. ბარიან ანჩაბაძესთან, ჭიათურაში—ივანე გომელაურთან, გენჯაში—ბ. აბრამიძესთან, ერევანში—კ. ოდიშარიასთან, ყარსში—ივ. საათაშვილთან, ალექსანდროპოლში—ს. ზატბეგოვთან, როსტოვში—მ. კლიმიაშვილთან, ნოხაში—ბ. ი. ბაგმანიანესთან.

ვინც ოვთ ხელს მომწერლებს, ადრესი გარეშეთ დასწერონ, თუ ეურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრეზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი ნ. ნაკაშიძე. გამომც. თ-დ პ. თუმანიშვილი.

ქ. ზ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

არაყიშვილის ნოტები:

1) **ქართ. ერთვნული სიმღერები** ფორტეპიანოს აკომპანიმენტით: ახ, მთვარეო, ბუნდოვანს გულსა, ჩემო თავო, შენდა შეურამდის, ორთავ თვალის, ოროველა, ნანა, ურმული, მზე (მეგრული), ორანანუ, ვაი ღორონმი, საარშიყო, მუ ფქიმინა, მზე (გურული), წიგნი, ქალო ლამაზო 1 მ.,
2) **ცეკვა** ფორტ. (დაველური) 50 კ.,
3) **მგოსნ. სიმღ. ქალთა ხორ.** 60 კ.
4) **ერთვნული სიმღერები** (კახური და ქართლული): ალაზანი, გუთნური, ურმული, ნანა, სათამაშო, მუშური, შავო ლამაზო ქიზიყური, ბერი კაცი ვარ, მაყრული, კახური გრძელი მრავალ-ჟამიერ, ზამთარია, სუფრული, ლიდება, იავ-ნანა, ზარით ტირილი, მკაში, ლიმბეგო, ქალს გიქებენ, მაღლეგო, ბლესამ და ბლესამ, მგზავრული, ცანგალა გოგონა, ჩემო თავო, ჩაკრული . . 65 კ.
5) **ქართ. ერთხმოვ. ერთვნ. სიმღერები:** წყრა-კითხვ. გამოც. 20 კ.
6) **РОМАНСЫ:** Не пой красавица, Я жду тебя, мнѣ снился сонъ, еще такъ мной струнъ, этотъ . . . 30 კ.
Изъ гафиза № 1, . . . 40 კ.
„ „ № 4, . . . 45 კ.
7) **Народн. пѣсня Западной Груз.** 2 მ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებული

ქართული წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

უმორჩილესად სთხოვს ყველა

იმ ინტელიგენტ სცენის მოყვარე კაცებს და ვაჟებს,

ვისაც სურვილი აქვს სცენაზე მოღვაწეობისა, გაუწიონ დახმარება აღნიშნულ წრეს და მიიღონ მონაწილეობა წარმოდგენის მართვის საქმეში.

გამგეობა დარწმუნებულია, მის მოწოდებას უყურადღებოდ არ დასტოვებენ და მსურველნი ჩაეწერებიან წრის კანტორაში, მიხეილის პროსპექტი № 102, **რეჟისორ ალ. წულუკიძესთან,** ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან.

1652

საზღვარ-გარეთის კიმონო

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

საძარხნო მაღაზიამ

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

ახლად მიღებულია. ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კიმონო

ბერლინის უნივერსიტეტის დოკტორი მედიცინისა

გ. მეჰრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური** წამლობა. ხელოვნური **პნევმოთორაქსი. რენტგენის ელვასებური სხივები ფილტვებისა და გულის გასაგებად.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყალებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ძირუგზიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)

განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

მელხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი ვ. ბ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ზინზაბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუპის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606", „914".** 1604

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქუჩა, ხაკუ. სახლი, № 7, ბიბეიდის პროსპექტისა და ვეტცელის სახტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და ხელოვნ ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებით.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულები:	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედორეევი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერაბიანი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიქანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. ვ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედორეევი ვ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფოლდოევი ბ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლ. 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და ბილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლობა შეუსაბამებელია,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1466

სახაზინო თეატრი

საოპერო ამხანაგობა ბ. ია. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით

პარასკევს, 24 იანვარს, ქართ. დრ. საზოგ. დასის მიერ **მეშვიდეთ** წარმ. იქნება ახალი ორიგინალური პიესა ი. გედევანიშვილისა:

სინათლე,

ზღაპარი-ფერია 3 მოქ. 7 სურათად.

რადგანაც ამ პიესის ნახვის მსურველნი მრავალნია და ქართული თეატრი საკმაო რიცხვს საზოგადოებისას ვერ იტევს, ამიტომ პიესა წარმოდგენილი იქნება სახაზინო თეატრში. ◆ ბილეთები ამ თავითვე იყიდება სახაზინო კასაში. მონაწილეობას მიიღებს: **მთელი დასი:**

სახაზინო თეატრის ორკესტრი **ზ. პ. ფალიაშვილის** ლოტბარობით, ფილარმონიული საზოგადოების მომღერალთა გუნდი, მუსიკა ზ. პ. ფალიაშვილისა და ყარაშვილისა, ბალეტი ბ. ოვერლოს ხელმძღვანელობით.

მეოთხე სურათში ჩამატებულია ეშმაკ.ა ცეკვა.

დასაწყ. ხალ. 8 ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია (საოპერო).

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

ანონსი: მზად. წარმ.: ბედნიერი დღე, დონ კარლოსი, ამოცანა და სხვ.

1006 ადმ. ქართ. დრ. საზოგ.

დღეიდან

ვაგზლის სამკურნალოში

(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ძალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

საფხელაოს ექ. ელდიანშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

ფაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

წამლობა „914".

1023

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

1468

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორლანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

საბურთალოზე

მშვენიერ ადგილას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდების მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. ფ. 122

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

სამკურნალო

ქალ. გაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50.

1608

ვასწავლი

ქართულ **„სიმღერა-გალობას"** და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს ეკლესიათვის. გუნდის მიწვევა კონცერტებზე, ეკლესიებში, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიც. პირობების გაგება, მოლაპარაკება და ჩაწერა **მიხეილ კვეხაძესთან,** კვირაობით 3—5 ს.-დე და ოთხშაბ. 6—8 ს. **ავჭალის ქ. № 29.** ვიღებ და ვასწავლი **მუშა ხალხსაც.** 1027

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა **№ 67.**

ძ. ზ. ტრშ ი (დოკტორანტი).

ექიმი ვ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. **გორის სამკურნალოში,** დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი

ი. ზ. გაელიშვილი

იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. მიღება ავადმყოფების შეიძლება დილის 11 ს.—2 ს. და საღამოთი 5—7 ს. 916

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **ოქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** ტ კანის ავადმყ. **ვასსერმანის** რეაქციით იკეთ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი **პავლე არდაზიანი** შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი **აბილისა პ. ვ. ფუმულია-კუხალაშვილი**

გადავიდა ქსენიევის ქუჩაზე № 7, სადაც ტფილისის კერძო სამკურნალოა მიხაილოვის პროსპექტისა და სასტუმრო ვეტცელის ახლო. იღებს დილით 9—2 საათ. საღ. 4—7 ს.-მდე. 872

ტფილისი, 17 იანვარი

„მშაკი“-ს მოწოდების გამო. დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება მოწოდება სომხური გაზეთის „მშაკ“-ის რედაქტორის ბ-ნი ა. არაქელიანისა ქართველებისა და სომხების ინტელიგენციის მიმართ. გაზეთი აღნიშნავს, რომ ის უთანხმოება, რომელიც დაიბადა ქართველებსა და სომხებს შორის, ძალიან საზარალოა ისტორიულად დამეზობლებულ ერთათვის, და მოუწოდებს ქართველებსა და სომხებს მოილაპარაკონ საერთო საპირ-ბოროტო საკითხების გამოსარკვევად. ჩვენ გვგონია, რომ ასეთი მოწოდება სასიამოვნოდ დარჩება ყოველ შეგნებულ ქართველს, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაჰვიწყებია, რომ ჩვენი ქართველებისა და სომხების ძალა, ჩვენსავე ერთობაშია და შეთანხმებაში. მაგრამ, შეთანხმება რომ რეალური იყოს და არა ფიქციური, აუცილებლად საჭიროა ქართველებმა და სომხებმა მეტი გულ-წრფელობა შეიტანონ ამ საკითხის გამორკვევის დროს და შეეჩვევნენ იმ აზრს, რომ საჭიროა პატივისცემა ერთმანეთის უფლებებისა და ინტერესებისა. იქ, სადაც ეს ორი პირობა დაცული არ არის, ძნელია მკვიდრი სოლიდარული კავშირის დამყარება.

ჯერ ისევ მაშინ, როდესაც პირველად აღიძრა პოლიტეხნიკუმის საკითხი და ამის გამო ბევრი რამ არა საკადრისი ითქვა როგორც ქართველების, ისე სომხების ზოგიერთი გაზეთის მხრით, ჩვენ მოვუწოდეთ საზოგადოება სოლიდარობისკენ და გამოვსთქვით იმედი, რომ სომხის საზოგადოებაშიაც უსათუოდ გაჩნდებოდა ელემენტი, რომელიც უფრო ფხიზელი თვალით შეხედავდა სომეხ-ქართველთა ურთიერობას და შეეცდებოდა, ურთიერთთა ინტერესების გამორკვევით და შეთანხმებით, გაენელებინა ის ცეცხლი, რომლის გაღვივებასაც ცდილობდნენ როგორც ზიგიერთი ქართველები, ისე სომხები.

ფრიად სახიფათო მომენტი დადგა ჩვენთვის. საჭიროა სათანადო დაფასება და ანგარიშების გაწევა ამ მომენტისა. დიდს პოლიტიკურ სიბეცეს გამოიჩენს ქართველობა და სომხობა, თუ დღევანდელი პოლიტიკური მომენტი ისე არ შეაფასა, როგორც საჭიროა მისი შეფასება. ყველა ამისთვის კი საჭიროა ერთმანეთის აზრების გაგება, ერთმანეთთან დაახლოვება. ძალიან ხშირად ურთიერთისადმი ძძულვარება და უთანხმოება ჩნდება მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთს არ ვიცნობთ და ერთმანეთის გულის ნადები არ ვიცით. ის, ვინც ხელს შეუწყობს ასეთს დაახლოვებას, თანაგრძნობის ღირსია, და ჩვენც დიდის ხიამოვნებით მოვუწოდებთ ქართველ ინტელიგენციას, ხელი შეუწყოს ამ დაახლოვებას.

ქართული პრესა

ჩვენს გაზეთში თავის დროზე აღნიშნული იყო, რომ რუსეთის ხუროთმოძღვართა კრებაზე მხატვარმა ეინსერმა მოხსენება წაიკითხა ქართული ძველი მხატვრობის შესახებ, მიაქცია საზოგადოების ყურადღება იმ გარემოებას, რომ საქართველოს ძველი ნაშთები იღუპება და მოუწოდა კრებას, რამე ზომები მივიღოთ ძველი ქართული ხელოვნების დასაცავადო. გაზეთი „ერი“ მოიგონებს ამ ამბავს და სწერს:

„არც ერთი ნაშთი ისეთი არ მოგვეჰოვება, რომელსაც ეროვნული მნიშვნელობა არ ჰქონდეს, რომელიც მთელი ერის წარსულის მაჩვენებელი არ იყოს და ამიტომ მთელი ერისა და ერის ყოველი წარმომადგენლისაგან არ საჭიროებდეს მოვლა-დაცვას. მერე ჩვენი სიძველენით ყოველი ქართველი არის კი დაინტერესებული, ან თუნდა ყველას ჩვენ დაგვიცავს და შეგვინახავს ჩვენი ისტორიული ნაშთნი ისე, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს? არა, და უპირველეს ყოვლისა ამის მაჩვენებელია სრულიად რუსეთის ხუროთმოძღვართა მეხუთე კრებაზე წაკითხული მოხსენებაც. ბ-მა ეინსერმა რუსეთის საზოგადოებას და რუსეთის მეცნიერებს მოუწოდა, რომ მათ იკისრონ ქართველთა სიძველის დაცვა-პატრონობა, ეინსერმა გარეშე ერთა წარმომადგენლებს მოუწოდა, რომ ქართველთა ისტორიულ ნაშთებს მფარველობა გაუწიონ, და აღნიშნა, რომ ეს სიძველენი ამ ჟამად უპატრონოდ არიან. ნუთუ ყოველივე ეს ჩვენი დაკნინების მაჩვენებელი არ არის? ნუთუ ეინსერის მოხსენება მაჩვენებელი არაა იმისა, რომ ჩვენი სიძველენი და ჩვენც „საპეკუნოდ“ გავმხდარვართ? გავმხდარვართ და კიდევ უფრო მეტად საპეკუნო გავხდებით, თუ ისეთი დაუდევრობა გამოვიჩინეთ ჩვენთა სიძველეთა მიმართ, რომელიც ეს ერთიხანია თანა გვდევს და არ გვშორდება. თუ არა, რას მივაწეროთ გელათის ბედი, მისი ახლანდელი მდგომარეობა?..“

მართლაც ჩვენი დაუდევრობა ამ საქმეშიც, ჩვენი უპატივცემლობა ჩვენის წარსულის ძვირფას ნაშთებისადმი ყოველს საზღვარ გადასცდა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სახალხო მასწავლებელთა კრებამ პრესაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. პრესის პროგრესიული ნაწილი თანაგრძნობით ეკიდებოდა კრების მუშაობას; რეაქციონური პრესა კი კბილებს ულესავდა მას. ამავე კრების მუშაობას ეხება „მუსულმანსკაია გაზეტა“, რომელიც პეტერბურგში გამოდის; გაზეთი სწერს:

„ვინ გინდათ რომ კრებაზე არ ყოფილიყო: იქ თავი მოიყარა რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნების მასწავლებელმა: იქ იყო უკრაინელი და ესტონელი, ლატიშელი და ფინლანდიელი, გერმანელი და ყალმუხელი, იაკუტი და ბურიატი, ებრაელი და სომეხი, ქართველი და მუსულმანი“.

„მაგრამ მუშაობაში ყველაზე საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინეს უკრაინელებმა და, უმთავრესად, ქართველებმა. ქართველთა რიცხვი კრებაზე იმდენი იყო და ისეთი მომზადებით, რომ უკეთესის ნატვრა აღარ შეიძლებოდა“.

„ქ. ბერეკაშვილის მშვენიერ მოხსენებას ერთი მეორეზე მოჰყვა ქართველ ქალთა და კაც მასწავლებლების მოხსენებანი. კრებას დაესწრნენ აგრეთვე სათათბიროს ქართველი დეპუტატები.

საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე საუცხოო დისციპლინამ, მშვენიერმა მომზადებამ და მათ მიერ წამოყენებულ დებულებათა დასაბუთებამ. ეტყობოდათ, რომ ეს ხალხი გამომხატველია მთელი ქართველობის მისწრაფებათა და სურვილებისა, რომ ისინი არ ეკუთვნიან მოიდეალისტი-ინტელიგენტთა ჯგუფს. პირიქით, მათი ყოველ სიტყვაში გამოსჭვიოდა მთელი საქართველო“.

„სიცოცხლით აღსავსენი, ღრმად მორწმუნენი იმისა, რასაც ამბობდნენ, ქართველი მასწავლებელნი საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებდნენ“.

„გულწრფელნი მამულიშვილნი, ისინი, როგორც ყველა არარუსი, ლაპარაკობდნენ მხოლოდ იმაზე, რაც მათ სატკივარსა და წყლულს შეადგენდა“.

„ამ სექციის ყველა სხდომაზე, ყველა მოხსენებაში მკაფიოდ ისმოდა მხოლოდ ერთი: მოგვეცით ეროვნული სკოლა, თუ კი ჩვენ ბუშები არ ვართ, თუ გსურთ ჩვენი ნორმალური განვითარება! მოგვეცით სამშობლო ენა, მიეცით საშუალება ჩვენს შვილებს განვითარდნენ და აღიზარდნონ გონივრულ პედაგოგიკის ფარგლებში“!

აი ძირითადი დებულება ყველა მოხსენებისა, წითელ ზოლივით აჩნდა ერთი აზრი: ეროვნული სკოლა დედა-ენით“.

სახელმწიფო საბჭო

(დეპ. პეტერბ. საგენტო).

13 იანვარს სხდომა.

აკიმოვი თავმჯდომარეობს. საბჭო განაგრძობს ლოთობასთან საბრძოლველ კანონ-პროექტის განხილვას.

გრ. ტოლმა აღნიშნა, რომ საჭიროა ლოთობასთან ფიცხელი ბრძოლის წარმოება. ამ საქმეს დასაბამი მისცა სათათბირომ; იმედია საბჭო ერობასთან ხელჩართული გაუმკლავდება ერის ამ საშინელ წყლულს.

კრამერი. ამგვარი ღონისძიებანი ლოთობასთან საბრძოლველად თავის დროზე მიიღო შვეციისა და ნორვეგიის საკანონმდებლო დაწესებულებებმა. წარსულ საუკუნის ოციან წლებში ნორვეგიასა და შვეციაში ლოთობა ფრიად იყო გავრცელებული. მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა ლოთობა ფრიად შეამცირა. თუ წინად მაგარ სასმელების ხმარება თითო სულზე 61 ბოთლი მოდიოდა, ეხლა მოდის მხოლოდ 4 ბოთლი. ამ შედეგის მიღწევა შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით. თუ ლოთობის აღმოფხვრა გვინდა უნდა თვით ხალხს მივცეთ საშუალება ლოთობასთან გასამკლავებლად.

თავ. გოლიცინი. საკითხს ფინანსიურის მხრით არ უნდა უყურეთ. ლოთობაში ინთქმება ჩვენი ერის ფული, შრომა და ღირსება. საჭიროა ყოველგვარი ღონისძიების მიღება. რათა ამოვაშროთ ლოთობის ჭაობი.

ოზეროვი. სასტატისტიკო ცნობების მიხედვით მოლაპარაკე ამტკიცებს, რომ ალკოგოლიზმმა რუსის ერის ცხოვრებაში ღრმად გაიდგა ფესვი: იგი ჰმოქმედებს სახელმწიფოს წარმოებაზე, შრომაზე და ზნეობაზე. მონოპოლიის შემოღებამ თუმცა ბევრი კეთილი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ დასახულ მიზანს მაინც ვერ მიაღწია, რადგანაც ლოთობასთან ბრძოლის ღონისძიებანი მხოლოდ მექანიკური ხასიათისაა.

ზუბაშევი. რუსეთში მაგარ სასმელების ხმარების ზრდა წინ უსწრობს მცხოვრებთა რაოდენობის ზრდას. მოლაპარაკე მხარს უჭერს სათათბიროს პროექტს.

ანდრეევსკი. მოლაპარაკეს სათათბიროს პროექტი უფრო მოსწონს ვიდრე კომისიისა. თუმცა კომისიამ ბევრი კარგი შესწორება შეიტანა კანონ-პროექტში, სამაგიეროდ ძალაც გამოაცალა მას. სათათბიროთვის პროექტს ხალხის ნდობაზე ამყარებდა ერს აძლევს თავდაცვის ღონისძიებას. რუსეთის საზოგადოება თანაგრძნობით არ შეჰხვდება დამახინჯებულ კანონ-პროექტს. იგი დიდიხანია რაც მოუთმენლად ელის კანონმდებლისაგან გადაჭრილ სიტყვას.

ზინოვიევი მეორე. ლოთობასთან საბრძოლველი ბევრი კანონი გამოცემულა, მაგრამ მით ლოთობას არ უკლია. ეს იმით აიხსნება, რომ კანონები ცხოვრების პირობებთან არ იყო შეფარდებული. მოლაპარაკე კომისიის პროექტის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ საჭიროდ მიიჩნია შესწორების შეტანა, რათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიეცეს ღონისძიება ლოთობასთან საბრძოლველად.

არქიეპისკოპოსი არსენი. ფრიად სასიხარულოა პირველი ნაბიჯი ერის წყლულის განსაკუთრებულად, მაგრამ პროექტში ორმაგობა იჩენს თავს: კომისიას ჰსურს მცხვრებიც უვნებლები იყვნენ და მგლებიც მაძღარნი. შეუძლებელია ეკვით შეპყრობილმან გადაჭრილი ზომები მივიღოთ ლოთობის აღმოსაფხვრელად.

ზუბჩანინოვი გრ. ვიტეს ეკამათება.

გრ. ოლსუფიევი კომისიის პროექტის წინააღმდეგია. ძალიან გაბედულად განაცხადა კომისიამ მომხსენებელის პირით, რომ მან სათათბიროს პროექტი უფრო გააძლიერაო. ნამდვილად კი კომისიამ სათათბიროს პროექტიდან გული გამოიღო და ერს ნაჭუჭი შესთავაზა. კომისიამ კანონ-პროექტს ერთი უძლიერესი იარაღი წაართვა, როდესაც ქალაქებსა და დაბებს მოუსპო ლოთობასთან გამკლავების საშუალება.

დიდის გულისხმიერობით უნდა ვისმინოთ სათათბიროს სიტყვა, რადგანაც იქ შეკრებილნი არიან ერის შვილნი, რომელთაც უკეთესად იციან ხალხის წყლული და გასაჭირი.

15 იანვრის სხდომა.

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველ კანონ-პროექტის განხილვა გრძელდება.

ბარონი პილარ-ფონ-პილხაუ. სათათბიროს პროექტი საკმარის ღონისძიებას არ იძლევა ლოთობასთან საბრძოლველად. დასავლეთ ევროპაში კერძო თაოსნობა წინ უსწრობდა საკანონმდებლო დაწესებულების ღონისძიებას; სათათბიროს პროექტს კი მიზნადა აქვს კანონის მეოხებით საზოგადოებრივი ცხოვრება გამოაფხიზლოს. რუსეთი მანამ არ იხსნის თავს ლოთობისაგან, ვიდრე მცხოვრებნი გულ-გრილად უყურებენ ერის ლოთობას. საჭიროა პირველ ყოვლისა საზოგადოებრივ მთვლემავი ძალთა გამოღვიძება. სახალხო განათლების სამინისტრო დაუნდობლივ უნდა სდევნიდეს იმ მასწავლებელთ, რომელნიც თავის ურიგო საქციელით ცუდ გავლენას ახდენენ მოზარდ თაობაზე. ერთხელ და მუდამოდ უნდა მოისპოს სასამართლოს პრაქტიკაში სანტიმენტალობა და არ ითვლებოდეს დანაშაულად შემამსუბუქებელ გარემოებად სამთვრალის დროს ჩადენილი ბოროტმოქმედება. მთავრობა მოხელეებისაგან უნდა მოითხოვოდეს სუფხიზლეს და მართებულ საქციელს. ეს გზა ძნელია და ხანგრძლივი, მაგრამ ამ გზით სიარული მიზნის გადახორციელებამდე მიგვიყვანს; სათათბიროს პროექტი უცვლელად რომ მივიღოთ, ამით ხელს შეუწყობთ ხალხის სინიდისის მიძინებას.

კარპოვი გრ. ვიტეს ემხრობა. საჭიროა მოისპოს დამოკიდებულება ხარჯთ-აღრიცხვისა არყის მონოპოლიის შემოსავალზე. საერთოდ მოლაპარაკე სათათბიროს პროექტს ემხრობა.

დენისოვი, ხალხის უბედურებანიადაგზე აღმოცენდა მსხვილი მრეწველობა, რომელიც ხალხის სიმდიდრის ერთ უმთავრეს დარგს წარმოადგენს—არყის მრეწველობა. ლოთობასთან ბრძოლის დროს საბჭოს შესაფერის ღონისძიებანი უნდა მიიღოს, რათა არ მოისპოს მეურნეობის ეს უმთავრესი დარგი. ზედ-მეტი სუფიტი უნდა მოვიხმაროთ სატეხნიკო საქმისთვის, როგორც ეს გერმანიაში ჰხდება. რუსეთი ჰსაჭიროებს ასანთ მასალას. ასეთი მიმართულება უნდა მიეცეს არყის წარმოებას. მოლაპარაკე წინადადებას იძლევა მიიღონ მორიგ საკითხზე გადასასვლელი შეკითხვა ფდრმულა: მთავრობამ ყოველი ზომა უნდა მიიღოს არყის გამოხდის გასაძლიერებლად ტეხნიკურ საჭიროებისათვის.

მლ. ნადეოჟინი. არ შეიძლება ლოთობასთან ბრძოლა მხოლოდ კულტურულ-განმანათლებელ ზომებით. საჭიროა გამოიცეს კანონები აკრძალვითი ხასიათისა.

გურკო. სათათბიროს პროექტს წინააღმდეგია.

გრ. ვიტე. უპასუხებს თვის ოპონენტებს. იგი ამტკიცებსო, მის ციფრებში შეცდომა არ ყოფილა, ხელმეორედ ადასტურებს თვის მიერ გამოთქმულ აზრს. მონოპოლის შემოღების ისტორიაზე მოლაპარაკე ამბობს: მონოპოლიის შემოღების აზრი ორ ერობაში დაიბადა და იმპერატორ ალექსანდრე მესამეზე შთაბეჭდილება მოახდინა, მონოპოლიას მოითხოვდა კატკოვიც, რამაც გავლენა იქონია იმპერატორზე. მინისტრ ბუნგემ, წმინდა თეორეტიკოსმა, არ მოისურვა მისი განხორციელება. ეხლა ავიღოთ ფრანგეთი. ... ეს ... ეს ... ...

ციელება, რადგანაც იგი იმ აზრისა იყო, რომ მთავრობა სახელმწიფოს ცხოვრების მმართველად უნდა იყოს და არა მეურნედო. გვერდი აუქცია აგრედვე მინისტრ ვიშნეგრადსკიმაც; გრ. ვიტემ იტვირთა მონარქის სურვილის აღსრულება და ღრმად ჰწამდა რეფორმის კეთილ ნაყოფიერება. ყველა ჰკვირობს,—ამბობს გრ. ვიტე,—რათ წარმოსთქვი ამ საკითხზე. ცხარე სიტყვა? მიზეზი უბრალოა: მონოპოლიის შემოღების შემდეგ გახვლო 20 წელმა; ამ ხნის განმავლობაში მრავალი შეცდომა დავინახე, რასაც ხალხი საშინელ ლოთობისკენ მიჰყვანდა, რაც რუსეთს დაღუპვისკენ მიაქანებდა. ვიტე გული მტკივა ამისთვის და მსურს გაასწორონ ის შეცდომები, რაც მოვიმოქმედე. 10 წლის განმავლობაში ეს შეცდომა არ გასწორებულა, სუყველაფერი ძველებურად არის, ხალხი უფრო ეტანება არაყს. მოლაპარაკე სახელმწიფოს საქმეთა გარეშე სდგას, იგი არ იღებს მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმიანობაში, არც პრესაში შეუძლიან მოღვაწეობა. ბოლოს დადგა წუთი, როდესაც სახელმწიფო საბჭოში ხმა-მაღლა ეთქვა: „იხსენით რუსეთი! გაასწორეთ გრ. ვიტეს მიერ ჩადენილი შეცდომები, რაც რუსეთს დაღუპვას უქადის!“ ვიტე ჰფიქრობს, შეცდომას არ ასწორებენ იმიტომ, რომ მონოპოლია საშუალებას აძლევს უდეფიციტო ხარჯთაღრიცხვის მიღებისას. როდესაც ვიტემ სთქვა,—ლოთობასთან ბრძოლის ერთად-ერთი ღონისძიება ხარჯთაღრიცხვის დამოკიდებულების მოსპობაა მონოპოლიის შემოსავალზე—ამით არ ჰსურდა მას ფინანსთა ეხლანდელ მინისტრისათვის რაიმე უსიამოვნების მიყენება. ვიტე არც მთავრობას ეკუთვნის, არც სხვა პარტიებს; მან მხოლოდ გამოსთქვა თვისი აზრი იმ მოსაზრებით, რომ შეიძლება ეს აზრი, ხარჯთაღრიცხვის ერთ დონეზე დაყენება, სასარგებლო და შესაწყნარებელი იყოს, თუ კი მოლაპარაკეს შეძლება ექნება ამ აზრის განხორციელებას ხვალვე შეუდგებოდა. ვიტემა სთქვა: ხელმწიფე იმპერატორთან მისვლის ღონისძიება რომ მქონდეს, როგორც მთავრობის წევრს, მუდარით მივმართავდი იმპერატორს, არ მოეცადნა არც სათათბიროსა და არც საბჭოს დადგენილებისათვის და დაუყონებლივ გაეოცა ბრძანება, რომლითაც მაგარ სასმელების შემოსავალი 1914 წელზე ერთ დონეზე დადგება, ზედმეტი თანხმა კი გადაცემულიყო საზოგადოებასა და დაწესებულებებში ლოთობასთან საბრძოლველად.

ნურობისა. მეფის სურვილი იქ დროს მთელი სახელმწიფოს ინტერესების გამომსახველი იყო. მეფის საზრუნავი მთელის ქვეყნის თავში საცემი იყო. ამიტომაც არის თინათინი იწვევს პირველ მოქალაქეს, უებრო ბმირს ამ სახელმწიფო ჭირ-ვარამის გადასაწყვეტად:

„პირველ ყმა ხარ, ხორცელი არ-
ვინა გყავს შენად სწორად“

ავთანდილი დიდებულად აღასრულებას მისი ქვეყნისა და მისი დედოფლის სურვილს და დაბრუნდება ტარიელთან მეგობრულის კავშირით შეკრული. ეხლა, როცა ავთანდილკერძო თავისი პირადი საქმე უჩნდება და პირადის მეგობრულის გრძნობის საკურთხეველზე უნდა მიიტანოს მსხვერპლი ტრფობისა, უნდა კიდევ რამდენიმე ხნით განაგრძოს სატრფოსთან დაშორება. თინათინ მამაცადა და წარბ-შეუხრელად ეტყვის:

„შენ არ გატეხა კარგი გჭირს ზე-
ნაარსისა ფიცისა
„ჰხამს გასრულება მოყვრისა სიყ-
ვარულისა მტკიცისა.

ასე მაღლა აყენებდა რუსთველი ქალსა და უეჭველია მთელი ეპოქის შეხედულება გამოსვლრივის აქა. შესაძლოა ეს შეხედულება არ იყო საერთო, არა ყველა იყო იმ დროს ქალის შესახებ ამგვარის აზრით გამსჭვალული, მაგრამ რომ აზრი რჩეულთა, პირველ კაცთა, პროგრესიულის ნაწილისა ჩვენის დროის სტილი, რომ ვიხმაროთ ეს ეჭვს გარეშეა. და განა შეგვიძლია ეს არ მივიღოთ მთელი ეპოქის განწყობილების გამომსახველად, იმ ეპოქისა. რომელსაც თავზე დაკაშკაშებდა ქართველ ერისგან ბრწყინვალე ვარსკვლავად აღსარებული თამარ მეფე?

ავიღოთ მეორე დიდი ჩვენი მწერალი ახალის დროისა; ნიკო ბარათაშვილი და გავიხსენოთ მისი „ქართლის ბედი“—ეს პოლიტიკური ტრაქტატი მშვენიერის ხელოვნებით გა-

მომხსენებელმა უპასუხა კრამერს, ოზეროვს, არხიეპისკოპოსს არსენის და სხვათა.

კენჭს უყრიან დენისოვის სურვილს. მინისტრთა საბჭოს **თავმჯდომარე** წინააღმდეგია დენისოვის სურვილს კენჭი უყარონ, რადგანაც კანონპროექტთან არავითარი კავშირი აქვს.

ხმის უმეტესობით დენისოვის ფორმულა უმრჭყვეს.

სხდომის შეწყვეტის შემდეგ თავმჯდომარეობს **გოლუბოვი**. საბჭო შეუდგა კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას.

პირველი მუხლით, უფლება ეძლევათ აკრძალვითი ღონისძიებანი მიიღონ სოფლებში არყის ვაჭრობის წინააღმდეგ.

კონი წინააღმდეგია კომისია რედაქციისა, და იცავს სათათბიროს რედაქციას, რომლითაც აკრძალვითი ზომების მიღება ქალაქებზედაც ვრცელდება.

ამის წინააღმდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა **კოკოვცევმა**. იგი ამტკიცებდა, რომ აკრძალვითი ღონისძიების ქალაქებზე გავრცელებას არავითარ ნაყოფს არ გამოიღებსო.

შემდეგი კრება 17 იანვარს მოხდება.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. გაზეთ „ცრის“ მე-11 ნომერი დაიპირეს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ქართველ მომღერალ-მგალობელთა გუნდი** მ. კავსაძის ლოტბარობით ტფილისს დაბრუნდა ბათომიდანა და სოხუმიდან, სადაც კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად იყო მიწვეული. გუნდმა სოხუმში იხახულა **ავადმყოფი მგოსანი ი. ეგდოშვილი**, რომელიც ამ ჟამად თავს შედარებით უკეთ გრძნობს.

✦ **ყაჩაღებთან შეტაკების დროს დაჭრილნი** ბოქაული გამბერგი და მისი თანაშეწე ზუბრიცკი 15 იანვარს სარკინისგზო სადგურ ოზურგეთში გარდაიცვალნენ.

✦ **საქალაქო აგურხანა.** ქალაქის გამგეობამ საჭიროდ სცნო, მოაწყოს საქალაქო აგურხანა.

✦ **პრემიები საუკეთესო თხზულებისთვის.** როგორც ვწერდით, ქ. შ. წ.-კითხვის გამარ. საზოგადოებამ 1913 წელს ორი პრემია გამოაცხადა საუკეთესო თხზულებისთვის. ერთი პრემია არის თ-დ გრიგოლ დადიანის სახელობისა—400 მ. ხოლო მეორე—ნ. ბ. ღოღობერიძის სახელობისა—300 მან. 1914 წლის 1 იანვარამდე თხზულებანი წარუდგენეს საზოგადოებას შემდეგმა პირებმა: 1) კ. აბაშიძემ (თ-დ დადიანის პრემიის მისაღებად)—„ეტიუდები ქართულ ლიტერატურიდან (პირველი და მეორე ტომი), 2) სვიმონ ავალიშვილმა (რუსულ ენაზე დაწერილი თხზულება ნ. ღოღობერიძის პრემიის მისაღებად)—„გლეხთა საკითხი ამიერ-კავკასიაში“, 3) სოლომონ თამარაშვილმა თვის ძის თხზულება ფრანგულ ენაზე „ქართული ეკლესია“ 4) მღვდელმა მელიტონ კელენჯერიძემ „გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა“, 5) ვაჟა-ფშაველამ „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ (ეთნოგრაფიული მოთხრობა) და 6) მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანმა თვისი შრომა ქართულ გრამატიკის შესახებ. ამ თხზულებათა გასარჩევად წ.-კ. საზოგადოების გამგეობა სამს საკონკურსო კომისიას აირჩევს: საისტორიოს, საფილოლოგიოს და საშწერლოს.

✦ **სტიპენდიები.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას ამ ჟამად 4 თავისუფალი სტიპენდია აქვს. მთხოვნელი ამ სტიპენტიებისა 80-დე კაცია.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგ. საგამომცემლო სექციის** კრება 15 იანვარს ეოხდა თვის მომავალ მოქმედების გეგმის გასათვალისწინებლად. სექციამ დაადგინა: 1) გამოსცეს ყველა სახელმძღვანელო წიგნი, 2) გამოსცეს სერიებად პატარა წიგნაკები, როგორც ბელეტრისტულისა, ისე სამეცნიერო შინაარსისა, 3) გამოსცეს ისეთი წიგნები, რომლებიც აღარ მოიპოვებიან გასასყიდად, ან ცოტა და არის დარჩენილი, 4) გამოსცეს ზოგიერთი წინასწარ ხელის მოწერით და 5) მეორე და მესამე მუხლში აღნიშნულ გეგმის განსახორციელებლად ეთხოვოს წ.-კ. საზოგადოების გამგეობას, რათა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში საგამომცემლო საქმისთვის 3,000 მან. შეიტანოს. სექციის დადგენილება განსახილველად ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების გამგეობას წარედგინა.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოება** თანახმად ონის (რაჭა) მცხოვრებთა თხოვნისა თვის გახეოფილებას აარსებს დაბა ონში. შესაფერი შუამდგომლობა მთავრობის წინაშე უკვე აღძრა.

✦ დღეისთვის დანიშნულია ქალაქის საბჭოს საგახგებო კომისიის კრება ქალაქის თვით-მმართველობის საკანტროლო განყოფილების შტატებისა და დებულების გადასათვალიერებლად.

სასწავლებლებში

✦ **ტფ. დედათა წმ. ნინოს სასწავლებელში** გაიმართა წლიური აქტი. ინსპექტორმა კრუპენიკოვმა წაიკითხა სასწავლებლის ანგარიში. წმ. ნინოს სასწავლებელი 68 წელიწადია რაც არსებობს, 1913 წელს სასწავლებლის შესანახად შევიდა 125,721 მანეთი, ამაში შემოწირულებაა 18,100 მან. სხვა და სხვა პირთაგან. 1913 წ. პირველ იანვარში ხასწავლებელში ითვლებოდა 432 მოსწავლე ქალი; წლის განმავლობაში სასწავლებელში შევიდა 82 მოსწავლე და იქიდან გავიდა 101, აქედან კურსდაუმთავრებელი იყო 37, კურსდამთავრებული 64. ამ წლის პირველ იანვრისთვის სასწავლებელში ითვლება 420 მოსწავლე ქალი. ამათში რუსია 197, ქართველი—120, სომეხი—61, თათარი—25 და 17 სხვა და სხვა ეროვნებისა. თავად-აზნაურთა და მოხელეთა ქალები არიან 306, სასულიერო წოდებისა—15, მოქალაქეთა და ვაჭართა ქალები—64, სხვა და სხვა წოდებისა — 35. პანსიონში იმყოფება 240 ქალი, ამათში საკუთარი ხარჯით იზრდება 159 მოსწავლე, დანარჩენი 130 სტიპენდიანტები არიან.

მუყაითის სწავლისათვის მეშვიდე კლასის მოსწავლეებში ოქროსა და ვერცხლის ჯვრით 9 ქალი დააჯილდოვეს. ოქროს ჯვრით დააჯილდოვეს: მ. ვახნაძე, ო. სულეტანოვიჩი, ვ. ფონ-კრაუზი, ნ. შახ-პაროხიანცი, კ. კორჩინსკისა; ვერცხლის ჯვრით დააჯილდოვეს. ქ. გოგნიაშვილი, თ. ქავქავაძე, დ. ვორონეცი და ნ. მაზარაძე,

სიკვდილის ცხოვრება

✦ **დაშნაკცუტიუნის გაზეთი.** როგორც გაზეთი „ბმაკი“ სწერს, დაშნაკცუტიუნის პარტიას შუამდგომლობა აღუძრავს რუსის ელჩის წინაშე სტამბოლში, რომ ითავრობამ ნება დართოს, თავისუფლად გაავრცელოს რუსეთში თავისი პარტიული ორგანო „ბაზადარტი“, რომელიც ოსლოში გამოდის. თავისი შუამდგომლობა პარტიამ იმიტ დაასაბუთა, რომ იგი აღარ ეწევა პროპაგანდას რუსეთის წინააღმდეგ. ელჩს შუამდგომლობა გადაუცია ვორონცოვ-დაშკოვისათვის, რომელსაც ეხებოდა ეს საკითხი. ეს ამ ჟამად მიუცია პარტიისათვის.

✦ **რეფორმები ოსმალეთის სომხეთში.** ოეფორმების საქმე ამ ჟამად ასეთ მდგომარეობაშია: ორის სომხურ ვილაიეთის (ვანისა და ბიოლისის) გამგეებად დანიშნულ ხი იქნებიან მთავარი ინსპექტორები, სარწმუნოებით ქრისტიანები (ალბად ბელგიელები). თვითეულ ინსპექტორთან დაწესებული იქნება ადგილობრივი ადმინისტრატიული საბჭო, რომლის წევრებიც იქნებიან თანასწორად სომხები და მაჰმადიანები. ალბად ამგვარადვე მოეწყობა საქმე ერზერუმის ოლქშიც. ამ ჟამად სადავო საკითხია სკოლის საკითხი: რუსეთი მოითხოვს, რომ სომხებისაგან შეკრებილი გადასახადი მხოლოდ სომხური სკოლების შენახვას მოხმარდეს. ოსმალეთის მთავრობა ამის წინააღმდეგია.

ოქონის ხვთაების ხატის მტაცებელნი

1911 წელს აგვისტოს 24 დღესა, „სახალხო გაზეთში“ მქონდა აწერილი ოქონის ხვთაების ხატის აწერა და გატაცება, სხვათა შორის, ვამბობდი: „მეზობელი ერებიც ყოველ-შემთხვევაში ძარცვავენ ჩვენს წმიდათა ტაძრებს, მასთანვე უცხო ერებიც ყოველ ღონეს ხმაროობენ ხელში ჩაიგდონ ჩვენი დაუფასებელი ძველი ხელოვნების ნაშთნი“.

და მართლდება ჩემი ეს სიტყვები. არ ისვენებენ ეს საზიზღარნი მაწანწალა გარეწარნი.

უკიდურესობამდის მიდიან, როგორმე ჩაიგდონ, რასაც არქეოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ან ისტორიულ-ხელოვნური.

დღეს 13 იანვარია, საღამო ხანს ამისთანა ძანძალში მატყობინებენ: ოქონის ხატის მოტაცება უნდოდა ვიღაც ბათომელს, დაიჭირეს და კანცელარიაში ჰყავთო, თქვენცა გთხოვენ დაესწროთ ოქმის შედგენაზედო.

ავედი სასოფლო კანცელარიაში.

მთელ ოქონის მცხოვრებლებს თავი მოეყარათ, მღვ. თადეოზ გელაშვილიც და მედავითნე ნიკო ბათიაშვილიც აქ იყვნენ.

დიდად აღელვებულნი არიან ყველანი. ის უცხო კაციც აქა ჰყავთ დაპერილი და ნაბეგვი, პიჯაკში კოპწიად გამოწყობილი. დაბალი ტანისაა, სუსტია და შავგვრემანი.

მღვდ. თადეოზ გელაშვილმა მიამბო შემდეგი: გიორგა ხარაულმა და მნათე ტიტო აპარაძემ მომიყვანეს ეს კაცი და მითხრა: ბათუმიდან ვარ, ცოლშვილი ავადა მყავს და ოქონის ეკლესიაში სალოცავად მოვედი, გთხოვთ ეკლესიის კარი გამიღოთო“.

ეკლესიის კარი გავუღე, მივიდა, ოქონის ხვთაების ხატს ემთხვია, ტრაპეზს ეამბორა და შემდეგ ჩემსას შემოვიდა.

უცხო კაცი მეკითხება:—არ შეიძლება ეს კაცი გამიგზავნო, ცხენისათვის თივა მოიტანოს? და ფულს აძლევს გიორგა ხარაულს. მეც გავგზავნე მაშინვე თივაზე.

ეს რომ წავიდა, ნათეს მიუბრუნდა, ფულს აძლევს და—შენ ბზე მიყიდეო, ესეც გავგზავნე.

დავრჩით მარტონი. ეს უცხო კაცი მეკითხება: „არ შეიძლება ვისაუზმოთ“ და მაშინვე მან ამოიღო ერთი ბოთლი კონიაკი, ხიზილალა, ზუთხი და სხვ.

— რუსულად ვილაპარაკოთ, მინდა ერთი ორიოდე სიტყვა გითხრათ, მეუბნევა ეს.

— ვის ერიდებით, აქ მარტო მე და თქვენა ვართო.

შემდეგ დამიწო ღვთაების ხატზე ლაპარაკი: „ის ხატი, ძვალზედ რომ ამოჭრილია მაცხოვარი, მომიხერხე, ჩამაგდებინე ხელში და, აი, ორმოც თუმანს მოგცემო“.

სახტად დავრჩი, ცოტა არ იყოს შიში შემეპარა, სოფელს მოშორებული ვარ და მარტოც.

სიტვა გადაუკიბე, გადმოუკიბე, რომ დრო მომეგო და მოსულიყვნენ ისინი, რომლებიც გავგზავნეთ თივაზე და ბზეზე. თანაც ბრაზი მომდიოდა, რომ წინადაც შეცდომაში შემიყვანეს და ეს ხატი წამაბრძანებინეს ტფილისში და საქვეყნოდ შემაჩვენეს და ეხლაც იგივე უნდა დამმართონ.

დავაძვრინე თავი, გარეთ გამოველ, რათა შემეტყობინებინა სოფლისათვის; გიორგა ხარაული და მნათე ტიტო აპარაძეც მოვიდნენ.

ამან რომ შეიტყო საქმე ცუდათაა, გასხლტომას აპირებდა, ცხენზე ჯდებოდა. სოფელიც შეიყარა.

რომ მივიდნენ მის დასაჭერად, მან რევოლვერზე ჯიბისაკენ ხელი წაიღო, მაშინვე უკანიდან მოუარე და ხელები გაუკავე, მომეშველნენ სხვებიც.

დავიპირეთ, წავართვით რევოლვერი, ბევრმა მუჯლუგუნიც წაჰკრა და კანცელარიაში ამოვაყოფინეთ თავი.

აი, ახლა თქვენთვის ჩაგვიბარებია და შესაფერ სასჯელს დასდებთ, დაათავა მღვ. თადეოზ გელაშვილმა.

მე მიუბრუნდი უცხო კაცს, ვეკითხები:

— საიდან ხართ?

— ტფილისიდან.

— მაშ რათა სთქვით, ბათუმიდან ვაროო?

— მე ეგ არ მითქვამს.

— როგორ თუ არ გითქვამს, შე ასეთ-ისეთო, გაფთრებულო, ... მღვ. გელაშვილი და მოიკვეთ ... წმად მნათე ტიტო აპარაძე და გიორგა ხარაული.

მეორე შენიშვნა ძიეეცი: — თქვენ, როდესაც ამოიარეთ, კხოლის დუქანში გითქვამთ, ბათუელი ვაროო, ოქონაში მივდივარ, აძიოეჯიბისაგან მაძულები უნდა ავიღო იჯარითო; იქავე გითხრეს: ოქონაში აძიოეჯიბებს მაძული არა აქვთო და ამის მეშმდეგ დაუმატეთ: კვერცხების საყიდლად მივდივარო და ოქონისკენ გასწიეთ.

— რევოლვერის ნებართვა გაქვთ? ვეკითხები, რომ მისი ვინაობა გაძეგო.

— დიახ,—და მომაწოდა ნებართვის ქაღალდი № 4474, გუბერნატორისაგან 1913 წ. 1 ნოემბერს, ბრაუნინგის რევოლვერისთვის № 24493 მიცემული სათადარიგო პორუჩიკის იოსებ სერგეის ძის მდივახოვის სახელზედ, მისი სურათიც ნებართვის ქაღალდზედ იყო დაკრული სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, ძლივს იპოვიდა კაცი მგზავსებას მას და სურათს შორის.

მამასახლისმა მისი აბგა გაჩხრიკა, ერთს ქაღალდს „Секретно. Предписаніе отъ такою полковника“ ძალავდა, იმ ქაღალდში მდივანოვის მაგივრად მდივანიანცი ეწერა, იგი ცდილობდა თავისი ეროვნება არ გაეოეძღვანებინა.

— რათ გინდოდათ ოქონის ხვთაების ხატი?

— Помилуйте, я пріѣхалъ помолиться, это все священникъ сочинилъ!

მღვდელი, გლეხები მისცივდნენ საცემრად,—დახე ამ ძაღლს, როგორ თვალდათვალ სტყუის! — შეუტიეს გლეხებმა.

— თქვენ გითქვამთ, ორი ჩემი ამხანაგი ატოცში დავტოვეო, ისინი ვილანი არიან?

— გომიდან ერთად წამოვედით, მე იმათ არ ვიცნობ, ისინი ატოცისკენ წავიდნენ, მე კი აქეთქენ წამოველ.

—შენ წელან არა სთქვი, ორი ჩემი მი ამხანაგი ატოცში დავტოვეო, —აქეთ-იქით უტევენ გლეხები და თან უკურთხებენ.

მის ყოველ სიყალბეზე ბრაზობენ, საცემრად იწევენ.

რადგან დრო აღარ იყო, ოქმის შედგენა მეორე დღესთვის გადასდეს.

წასოსელა დავაპირე. მდივახიანცი შეეხეოეენ: — ხომ ხედავთ, ლამის მომკლან, თქვენთან წამიყვანეთ, არა მაქვს უფლება შეგაწუხოთ, მაგრამ როგორც კაცთმოყვარეს,—დამიხსენით აქედან, წახვალთ თუ არა, ცემით მომკვლენ.

მე დავამშვიდე, ხელს არავინ გახლებს, თუ რამე დაგიშავდება, მაცალეთ სასლისი პასუხს აგებს.

— თითონ მაგასთან მცემეს და ნან არავითარი დახმარება არ გაბიწია. გთხოვთ თქვენთან წამიყვანოთ.

ჩემთან არ უშვებდნენ და არც მინდოდა, რომ წამოსულიყო. მაშინვე მოჰკიდეს ხელი და იქვე სატუსაღო ოთახში უნდა შეეგდოთ, ძოჰყვა ღრიალს, ტირილს, როგორც პატარა ბავშვი, ბოლოს ისევ მწერლის ოთახში ღასტოვეს.

Legatus.

მოწოდება

სომხისა და ქართველ ინტელიგენციისადმი.

გაზეთ „მშაკში“ დაბეჭდილია შემდეგი მოწოდება, ხელმოწერილი ა. არაქელიანცის მიერ:

„ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ და სომხის ინტელიგენციას.

მოვუწოდებთ ერთობისათვის, ერთმანეთის გაგებისა და შეთანხმებისათვის.

ინტელიგენცია საუკეთესო ნაწილი უნდა იყოს ყველა ერისთვის, ქვეყნისთვის, ყოველი კუთხისთვ ს. ინტელიგენცია უნდა იყოს ფხიზელი დარაჯი, რათა კავშირი ერთსულოვნებისა, ურთიერთის სიყვარულისა, თანხმობისა ერთი-მეორის ჭირის და ლხინის მოზიარე, ერთმანეთთან კულტურულად, ისტორიულად, ეკონომიურად და პოლიტიკურად დაკავშირებულ ერებში არა თუ შესუსტდეს, არამედ დღითი-დღე გაიზარდოს, განვითარდეს და გამაგრდეს.

სრულებით არ უნდა დავფაროთ, რომ კეთილმეზობლური და ძმური ურთიერთობა ქართველებსა და სომხებს შორის ბოლო წლებში დიდად შეირყა.

გაჩნდა გაუგებრობა, უკმაყოფილება, უთანხმოება. თუ მთელს ერებს შორის არა, ამ ერების ზოგიერთ წრეებში მაინც დაიბადა პირდაპირ მტრული განწყობილება, ერთმანეთის უნდობლობა.

დროზე რომ ეფიქრნათ სომხობა და ქართველ ინტელიგენციის წარმომადგენლებს ამ გაუგებრობის ახსნა და განმარტება, უეჭველია ჩვენი დღევანდელი ურთიერთობა სულ სხვანაირი იქნებოდა და ისეთი შემთხვევითი საკითხი, როგორიც არის

კაცური როლი ისტორიულ ცხოვრების უდიდესს ეპოქაში, თვით ცხოვრების უმწვავეს წამებში და ცხოვრების სხვადასხვა ძალთა ტრაგედიულ შეტაკებაში და ყველგან აქ ქალი მამაც არსებად დაგვისახეს.

ჩვენ ამით არც იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენი ლიტერატურა ქალთა ხოტბის შესხმის ბეტს ვრის შეიცავდეს—ეგ იქნებოდა მაჩვენებელი ჩვენის ლიტერატურის უსუსურობისა. არც ის გვინდა ვსოქვათ, რომ ჩვენ გამონაკლისს შევადგენთ კაცობრიობაში. ჩვენ აღვნიშნეთ ახლოლად რა დიდი აზრი აქვს შედგენილი ქართველ ერს ქალის შესახებ, რა დიდ ადგილს უთმობს იგი ქალს ცხოვრებასა და ისტორიაში, თავისს ზეპირ გადმოცემაში და თავისს უმშვენიერეს ხელოვნურ ნაყარმოებში. თუ ჩვენ ამ მეთხვევაში არ განვსხვავდებით კაცობრიობაში ეს იმგვარად უნდა გაკიგოთ, რომ ქალის ცხოვრებაში ღირებულების დაფასება ისე შეგვეძლებია და ისე აღგვისრულებია, როგორც რომელიმე თვით უმაღლესის კულტურით ბოსილ ერს.

ეს უნდა მადლობით მოიხსენიონ ჩვენმა ქალებმა ყოველ შემთხვევაში შესაფერი მსჯავრი დასდვან ქართველ ერს, მის კეთილშობილურ ნამდვილს თანასწორობით გაღლენთილ აზრებს ქალის შესახებ და ამით წაქეზებულნი თავისს მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ.

ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი ქალები, რომლის ბრწყინვალე სურათები წარსულმა მოგვცა კიდევ მოიპოვებენ ჩვენს ცხოვრებაში ძალასა და ენერგიას, რათა ხელი შეუწყონ ჩვენს ცხოვრებაში ახალის კულტურის, განახლების ახალის ეპოქის შექმნას. ვიქონიოთ იმედი, რომ ქართველი ქალი მგლოვიარებაში ჩავარდნილს თავზედ-ლეჩაქ მოხდილ, ფეხშიშველ ნესტანს კვლავ სადღეასწაულო ქოშებით და საქორწილო მანდილით მორთავს და ააფრიალებინებს დროშას საქართველოს ბედნიერებისას და სიხარულისას.

საბედისწერო საკითხი პოლიტეხნიკუმის ადგილის შესახებ ვერასოდეს ვერ გამოიწვევდა ისეთს მოუფიქრებელსა და სამარცხვინო მოვლენებს, რომელთაც დღეს ვხედავთ, როცა ზოგიერთი ორგანოები ორსავე მხრით ცდილობენ გაამწვავონ მტრული დამოკიდებულობა.

მშვიდობიანობის სიყვარულისათვის, ერების ურთიერთ მეგობრობის იდეის გულისთვის მივმართავთ ქართველსა და სომხის ინტელიგენციას და მოვუწოდებთ გაუწოდონ ერთმანეთს ხელი, გამოარკვიონ, გააშუქონ გაუგებრობა და უთანხმოება, რომელსაც შეუძლიან შეაფერხოს ორის მეზობელ ძმური ხალხის კულტურული განვითარება, მიანიჭოს გამარჯვება რეაქციონურ ძალებს და შეასუსტოს მოწინავე ელემენტები, რომლებიც ასე საჭირონი არიან ჩვენის საერთო ქვეყნისა და სამშობლოსათვის, ჩვენი ერების კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

ჩვენ სომხები მადლობით მოვიგონებთ, რომ ქართველი მეფეების დროს სომხის ხალხი საქართველოს საზღვრებში არ განიცდიდა იმ შევიწროვებას და დევნას, რომელსაც განიცდიდა ოსმალეთსა და სპარსეთში. აგრეთვე ქართველებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ სომხები საქართველოში სასარგებლო მოქალაქენი იყვნენ და ხელს უწყობდნენ ქვეყნის განვითარებას და როგორც მხედარნი, ვაჭარნი და ხელოსანნი ემსახურებოდნენ საქართველოს ინტერესებს.

თუ სომხისა და ქართველი ინტელიგენცია შეერთდება და შეიმუშავებს მეგობრულს ურთიერთობას, მოსპობს მიზეზს უკმაყოფილების გამომწვევს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, სომხისა და ქართველი ერები, რომლებიც წინად მეგობრულად ცხოვრობდნენ, აღადგენენ წინანდელს ძმურს ურთიერთობას.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მოწოდებას ხმას გამოსცემს სადი, მოწინავე დემოკრატიული ქართველი ინტელიგენცია“.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

16 იანვარი.

უცხოეთი.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, სახელმწიფონი სწრაფად დასთახხმდებიან ლორდ გრეის პროექტებს, რომელნიც ათინასა და სტამბოლში უნდა გაიგზავნოს.

სოფია. დიდ სახელმწიფოთა საელჩოებს მთავრობამ გადასცა ნოტა, საცა ჩამოთვლილია აღსაშფოთებელი საქციელი საბერძნეთის ჯარის მიერ ომის დროს ჩადენილი.

კაპშტადტი. ცენზურამ აღკრძალა ნუშათა მოძრაობის ხელმძღვანელთა გადასახლების ცნობის დაბეჭდვა ტრანსვაალისა ინტალის გაზეთებში.

ბერლინი. ვენიზელოსმა ინახულა ინგლისისა და ავსტრია-ჰუნგრეთის ელჩები, აგრეთვე პრესის წარმომადგენელნი. ვენიზელოსი ბერლინში მიღებით კმაყოფილია.

მარმარაშ-სიგეტი. უგრორუსთა საქმე. ბრალდებულთა ჩვენების ჩამორთმევა დასრულდა. შეუდგენენ იმ წიგნების კითხვას, რომელნიც ბრალდებულთა დაპატიმრების დროს აღმოაჩნდათ.

ტოკიო. ბონიის კუნძულების მახლობლად ცეცხლის მფრქვეველ მთის აფეთქების გამო ახალი კუნძული გაჩნდა. სიმრგვალე რვა ვერსს უდრის.

ლვოვი. ბენდასიუკს, სანდოვიჩს და გულმს და სტუდენტ კორდას ჩაბარეს საბრალმდებლო ოქმი; მათა ჰბრალდებათ სახელმწიფოს ღალატი; ამის გარდა პირველ სამს ჯაშუშობაც ჰბრალდება. საქმის გარჩევა თებერვალში იქნება.

ცეტინიე. სკუპშჩინის პირველი საორგანიზაციო სხდომა მოხდა.

ბერლინი. ცაბერნის ინციდენტის გამო თანამდებობიდან გადადგა ელზას-ლოტორინგიის მთავრობა.

ამიენი. სოციალისტთა კონგრესმა დაადგინა მომავალ არჩევნებზე გაილაშქროს მებრძოლ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დაიცვას საფრანგეთ-გერმანიის თანხმობა და საერო სკოლა. თუ არჩევნებში სოციალისტის გაყვანა ვერ მოხერხდა, ხმა მისცენ რესპუბლიკანელს.

ნიუ-იორკი. გაიტში რევოლიუცია ვრცელდება. პრეზიდენტი ცოლიოთორთ გერმანიის გემით გაიქცა. ქუჩებში სროლაა.

ალექსანდრია. ათინაში დააპატიმრეს ათინის ბანკის დირექტორებად ნამყოფი სამი კაცი; მათა ჰბრალდებათ 35 მილიონ ფრანკის გაფლანგვა. ამან ფინანსთა წრეებში და ბირჟაზე აღშფოთება გამოიწვია. ამ ბანკის განყოფილებებმა ალექსანდრიასა და ქაირში 28 მილიონნი იზარელეს.

რუსეთი.

პეტერბურგი. ოხუნოვის ქარხნის მუშაბა გაფიცვა სრულდება. ქარხნის ადმინისტრაციამ გაფიცულ მუშებს წინადადება მისცა, მუშაობა დაეწყოთ. მრავალი მუშა დასთანხმდა ადმინისტრაციის წინადადებას. დღეს მუშაობდა 1500 მუშა.

პეტერბურგი. საპოლიციო რეფორმის კომისიამ სათათბიროში მუშაობა განაახლა. განიხილეს ის მუხლები, რომელნიც აწესრიგებენ სამაზრო პოლიციის მდგომარეობას.

ვირნა. 12 საათსა და 30 წუთზე მიწა ძლიერად იძრა.

თეატრი და ხელოვნება

დ. ჭიათურა. 22 დეკემბრიდან 11 იანვრამდის ჭიათურის დრამატიულმა დასმა, შობის დღესასწაულების გამო, წარმოდგენა შესწყვიტა.

შაბათს, 11 იანვარს, წარმოადგინეს „მორევში“ დრამ. 3 მოქ. ჭანტურაშვილისა, წარმოდგენა რიგიანად ჩაატარეს, სამწუხაროდ ხალხი ცოტა დაესწრო.

12 იანვარს დადგეს „დღენი ჩვენის ცხოვრებისა. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი და ბევრი უბილეთობის გამო გულდაწყვეტილი შინ დაბრუნდა. თამაშის მხრით ბევრი რამ აკლდა მთლიანობას, რადგან იმ სამი უმთავრესი როლის შემსრულებელნი, რომელზედაც მთელი პიესაა დამყარებული, ხშირად ვერ იყვენ თავიანთ ადგილას.

ქ. ა. ლოლუა-მიქაშავიძისა, საერთოდ, ყურადღებას იქცევდა, მაგრამ მთლიანად ვერ განახორციელა ოლოლი (ოლია), ასევე ითქმის ბ. ა. მურუსიძეზე (კოლია გლუხოვცევი).

მხიარული ონუფრი იყო კ. მაჭარაძე, მაგრამ ვერ განასახიერა მისი ტრაგიზმი, ვერ გადმოგვცა ონუფრის ღრმა სევდა და გულსაკლავი უიმედობა.

კარგი იყო ქ. ქილარჯიშვილი (ევდოკია) და აბდუშელი თავის შესაფერ როლში (გრიშა).

დადგმის მხრით პიესას აკლდა გამოცდილი რეჟისორის ხელი.

საერთოდ ეს პიესა ზედმეტ ყურადღებას და შრომას ითხოვს, როგორც მსახიობებისგან, ისე რეჟისორისას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აღტაცებაში მოჰყავს რკინის გზის მოსამსახურის ბერძენიშვილის ოთხი წლის ბავშს საზოგადოება, რომელსაც შეუსწავლია გრიშაშვილის, აბაშელის, რუხაძის და სხ. ლექსები და ანტრაქტების დროს ჰკითხულობს ხოლმე. —ძე.

სოფ. ალაგირი. (თერგის ოლქი) 6 იანვარს ქართული სკოლის დარბაზში იყო „სამშობლო“ თავ. ერისთავისა, და ქართულმა მომღერალთა გუნდმა შეასრულა ქართული საერო სიმღერები პეტრე მკტრევლის ლოტბარობით.

ძლიერ კარგად ჩაიარა ყველა ამან და დიდ-ძალი ხალხიც დაესწრო. ყველა მომქმედნი პირნი საძაგალითოდ იყვნენ შემზადებულნი და ეტყობოდათ ბ-ნ რეჟისორის ანდრია კალანდარიშვილის და იმის თანაშემწე სამსონ მეტრეველის ცდა შესწავლების დროს. კარგები იყვნენ (ქეთევანი) ევა გიგაური, (ფაიხოში) მარია მეტრეველი, დავ-ა-ძე ანდ. კალანდარიშვილი, ს. მ—ლი, სერ. ჭ—ლი. ბეს. მ—ლი ილ. გ-ლი, ნ. ლ—ძე, ალ. ხ—ლი, და სხვ.

ბოლოს გაიმართა ქართული, ოსური და ევროპიული ცეკვა. შეიოსავალი იყო 180 მან. 49 კაპ., რომელიც ამავე სკოლის სასარგებლოდ გადაიდო. დიდი მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი ევა გიგაური და მარია მეტრეველი, პირველი შეანიშნავად მორთო და და ამშვენა შენობა ყვავილებით და ფერადი რამეებით, რის ნახვაც სამაგალითო იყო, ხოლო მეორემ, გაგვიყიდა ბილეთები და დიდი შემწეობა მოგვცა თავისი ცდილობით.

წარმოდგენის გამგე:

ილია უნგიაძე.

ფემოწყრულება

რედაქციამ მიიღო:

ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდად მასწავლებელ ალ. მეფარიძისაგან 5 მან., კონ. იოს. მამაცაშვილისაგან 10 მან.

არ. ჯორჯაძის ძეგლის სახარგებლოდ ვ. არდიშვილისაგან 1 მან.

წერილი რედ. მიმართ

ქართულ სათავად.-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილომ მიიღო შემდეგი შემოწირულებანი: კნ. მ. ი. წერეთლისაგან 2 ნახევარი ფუთი კომბოსტო, ძმ. კ. და დ. დიასამიძისაგან— 5 ფ. ფქვილი და 5 ფ. ხილი; მ. მ. ღოღობერიძისაგან 9 გ. ერბო, კნ. ელ. დ. ერისთავისაგან— 3 ნახ. ფ. ლობიო და 30 გირ. კომბოსტო, თ. ი. ციხაროვისაგან—70 გირ. ვაშლი, გ. დ. ჟურულისა და ნ. დ. მაკარაშვილისაგან—ბატკანი და 20 გირ. ბრინჯი.

გამგეობა ღრმა მადლობას სწირავს ყველა შემომწირველთ.

ბ. რედაქტორო! მორჩილი მთხოვნელი ვარ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემულ „სახალხო გაზეთის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო თავ. დიმიტირი ალექსანდრეს ძეს ყიფიანს და ბ. თედორე სიმონის ძეს იმედაძეს მეუღლითურთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ნივთიერი დახმარება აღმოგვიჩინეს ქ. შ. კ. გ. საზოგადოების რაჟის განყოფილების დაარსების საქმის მოწესრიგებაში.

მღ. **ლონგინოზ კვიკვიძე.**

პატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ყველა იმ პირთ, ვინც თავიანთი წვლილი გამოიღო ს. კასპის ერთ-კლასიანი სკოლის მოწაფეთა შობის ხის გასამართავად:

კნ. ნ. დ. ამილახვარმა 2 მან., ი. ა. ისკანდაროვმა 1 მ., ვ. ვეკშინმა 1 მ., ზ. ოქრომჭედლოვმა 1 მ. და 43 კ., ა. ნედელსკიმ 1 მ., გ. ქარუმიძემ 2 მან., ი. იმნაძემ 50 კ., ა. ცხადაძემ 50 კაპ., გრ. ძუბენკომ 1 მ., ნერგაძემ 50 კ., ტურაშვილმა 20 კ., იარიშინმა 50 კ., ა. დარეჯანაშვილმა 1 მ., დ. ეგაძემ 1 მ., ი. ყარანგოზიშვილმა 55 კ., П. Рабутовскій 50 კ., კნ. ი. ჯავახოვმა 50 კ., ნ. ლომიძემ 50 კ., ა. ჭელიძემ 50 კ., დ. ა. ღოღობერიძემ 1 მ. და ნაძვის ხე. მღ. ანინმა 30 კ., კნ. ნ. შ. ჩოლოყაშვილისამ 1 მ., ი. ნ. მესხიშვილმა 1 მ., ე. მიხაილოვმა 50 კ., ვ. შატბერაშვილმა 20 კ., ი. გალავაკაძემ 20 კ., ს. გიტლინგმა 50 კ., კნ. ნ. ამილახვარმა 1 მ. 50 კ., ა. გოდერზაშვილმა 50 კ., კნ. დ. ი. ამილახვარმა 1 მ., კნ. შ. დ. ერისთავმა 1 მ., ნ. ოკუჯავამ ხის მოსართავი სათამაშოები. კნ. გ. ბარათაშვილმა 20 კ., კნ. ე. ბარათაშვილისამ 1 მ., კნ. ნ. ე. ქოჩაშვილისამ 1 მ. და 50 კ., ნ. ნ. 1 მ., ვ. ბერიძემ 30 კ., გეურქამ 50 კ., ა. გედევანიშვილმა 2 მ. და ხის მოსართავი სათამაშოები, ვ. ხმიადაშვილმა 60 კ., ა. მიქაბერიძემ 50 კ., ნ. ქარუმიძემ 80 კ., ა. დავიდოვმა 20 კ., კნ. დ. ამილახვარმა 1 მ. და 50 კ., კნ. კ. ამილახვარმა 3 მ., კ. ტკაჩოვმა 20 კ., მღ. მაჭარაშვილმა 1 მ., კნ. ს. ჩოლოყაშვილმა 1 მ., კნ. ა. ორბელიანმა 1 მ., კ. გოგლიძემ 50 კ., ნ. 1 მ., შენგერმა 1 მ., კნ. გ. წეროეთელმა 1 მ., ბაბალოვმა 1 მ., ტიშკოვმა 55 კ., კნ. გ. ერისთავმა 1 მ., გალუსტოვმა 20 კ., მ. ღოლაძემ 25 კ., კნ. ან. ამილახვრისამ 25 კ., კნ. მ. ამილახვარმა 1 მ., კნ. ა. რ. ამილახვრისამ 50 კ. ასი ვაშლი, ასი კაკალი, საკაბე ჩითისა და კანფეტი—5 მან., ხოტოვმა 50 კ., ე. ზლოტნიცკიმ 18 კ., ი. დარმანმა 1 მ., ე. ჯავახოვისამ 60 კ., ზარემბოვ 30 კ., კნ. ჩოლოყაშვილმა 50 კ.

დასასრულ მადლობას ეუძღვნით კნ. ა. რ. ამილახვრისას და კნ. ნ. ი. ამილახვარს შრომის განაწილებისათვის; აგრეთვე ა. დარეჯანაშვილს იმ საჩუქრებისთვის, რომლითაც დაჯილდოებულ იქმნა ლექსთა საუკეთოსო შემსრულებელნი მოწაფენი.

ს. კასპის ერთ-კლასიანი სკოლის მასწავლებლები **ხ. ხიმშიაშვილი.** და კნ. მ. **ამილახვრისა.**

რედაქტორი ნ. **ჟურღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

ფრდის ფხრი ბროლის საპონი.

ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ბავშვურდისებრ რბილი და ჩვილი ხდება.
ნამდვილი მხოლოდ მე— „№ 471“.
ერთადერთი ფაბრიკა: **ფერდ. ბოულგენსისა.**
ნაპური 25 კ.
პარფიუმერია კელნი, რიგა.
1020
Метцъ. 547912.

მასპარეზელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან ბაქოს.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაც. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-ხაბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ჩქარი** პლაკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** დამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **ხან.** დილ. 8 ს. 8 წ № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 10 წ.

ყარსისკენ: **ხან.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **ხაბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისი მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **ხაბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოსტროვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩქარი**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 **საფოსტო** 7 საათსა და 23 წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **ბ. ფომინა-ოსიპოვიჩი** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 **და რუსის ბაზარში ქრ. ლ. ქალანთარიოვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. ბ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. ი. ნათიშვილი** (მოსუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ბ. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და ბავშვმარებლებდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ-ცუდს საშველ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყნისქუჩაზე, 54, ვლისაბედის ქუჩა 56 და მალაქინის მოედანზე.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3. ხან. გაბაშვილისა.

ექიმი შ. ა. მიძელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

ეკიმ ნავაზარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციუნად.
ბ. ა. ნაგასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბაგასარიანი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ბაბანასიანი: 10—11 ს. საბვბიო, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენ. ამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ჩელისა და ცხვირის სნეულებანი.
ბ. გ. ბეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაბეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, აბაბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვიანი** 1—2 ს. საბვბიო და ქალების ავადმყ.
ს ა ლ ა მ ო თ ი:
ბ. გ. ბეტიხიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, **კონსულტაციები** და **ოპერაციები** ძორიგებით.
სანკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 **დოქტორი ბ. ა. ნაგასარდიანი.**

სამოგზაურო თავფესაფარი თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ქ. ახალ ციხე. ეროვნული ბიბლიოთეკა
ახალწლიდან, პირველად გავხსენით
წიგნების საკვალეო,
სადაც ყოველგვარი ქართული წიგნების შეძენა შეიძლება. აქვე იყიდება ზომიერ ფასებში ადგილობრივი სასწავლებლებში ყოველგვარი სახმარი სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები. წიგნებს საკომისიოდ ვიღებთ.
1032 პატივისცემით **კონსტანტინე გვარამაძე.**

ანასტას. ორისთავ-ხოფტარიასი
1) **„მოლიპულ გზაზე“**, რომანი . . . 1 მ. 50 კ.
2) **„ბედის ტრიალი“**, რომანი . . . } 60 კ.
„ლაზარეთ ბად აჭარა“, მოთხრობა }
3) **„ძამისია“**, სურათები სოფლის ცხოვრებიდან 15 კ.
წიგნების გამოწერა შეიძლება ამ მისამართით:
г. Гори. Анастасіи Георгіевнѣ Хоштарія.
გასაგზავნ ხარჯის გადაუხდელად. ვინც სამსავე წიგნს ერთად გამოიწერს, ორ მანეთად გაეგზავნება და ვინც გამოიწერს ათ წიგნზე არა ნაკლებს, დაეთმობა „მოლიპულ გზაზე“ 30 პროცენტი, დანარჩენებზე 20 პროცენტ.
ამ მისამართივითვე შეიძლება გამოწერა
დუტუ მეგრელის ნაწერებისა:
1) ლექსები, 70 კ., 2) მოთხრობები, 70 კ. ორივე წიგნის გამომწერს გაეგზავნება 1 მ. 20 კაპ.-დ, ათი წიგნის გამომწერს დაეთმობა 30%. 1012

ტფილისის ქალაქის საბჭო
სთხოვს დროგებისა და სხვა მძიმე ტვირთის საზიდ შესაბმელების პატრონთ მობრძანდნენ კვირას, 26 იანვარს, დილის 10 საათზე შრომის ბირჟის დარბაზში,
მედროგეთა მამასახლისის და ტისი ნაცვლის
ასარჩევად.
თან უნდა იქონიონ ბლიახები, ცხენებზე გაწერილი გარდასახადთა გასტუმრების ბარათები და სავალდებულო დადგენილებათა წიგნაკები.
1029

„ჯეჯილი“
საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა-მეხუთე წელიწადი.
მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.
გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა
პატარებისათვის და მოზრდილთათვის.
ჟურნალი **„ჯეჯილი“** ტფილისში ღირება 4 მ., ქალაქ გარეშე (გაგზავნით) 5 ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში **„ჯეჯილის“** რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5), **ქუთაისში,** ისიდორე კვიცარიძესთან, **ჭიათურაში**—მასწ. ნიკ. წულუკიძესთან **და სამტრედიაში**—რაჟდენ ნანეიშვილთან.
რედაქციაში იყიდება ცალკე წლების ჯეჯილები.
1914 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრად დაურიგდებათ დახურათებული წიგნი:
„კუნწულა“.
ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ, въ Ред. груз. дѣтскаго журн. „Джеджили“.
1003 რედაქტ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-ფერეთლისა.**

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ პარასკევს, 17 იანვარს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის დარბაზში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ავტომობილებზე არსებულ გარდასახადთა აკრეფის იჯარით გასაცემად.
პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2 საათამდე გამგეობის მე-4 განყოფილებაში. 1031

თეეზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვანები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ძველ, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „ხმა კახეთისა“-ზე
წელიწადი მესამე
გაზეთის ფასი:

ფოსტით გაგზავნა.		სოფლიში.	
1 იანვრიდან წლის დამლევამდე	4 მ.	1 იანვრიდან წლის დამლევამდე	3 მ.
ნახევარი წლით	2 „ 25 კ.	ნახევარი წლით	1 „ 80 კ.
ერთი თვით	— 50 „	ერთი თვით	— 35 „

სოფლებში აგენტთან. ერთი წლ. 3 მ. 50 კ., ნახევარი წლ. 2 მ., ერთი თვით 35 კ. **ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**
მისამართი: ქ. სოლნაღი К. І. Ткавадзе.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვებში.